

პიო ბაქტერიოფაგი

პროდუქტის აღწერა

ფარმაცევტული პროდუქტის სავაჭრო

დასახელება:

პიო ბაქტერიოფაგი

საქართველოში ფარმაცევტული პროდუქტის

რეგისტრაციის ნომერი : **R-022600**

შემადგენლობა:

პიო ბაქტერიოფაგი წარმოადგენს კომბინირებულ პრეპარატს, რომელიც შეიცავს ფაგოლიზატების სტერილურ ნარევს, აქტიურს შემდეგი ბაქტერიების მიმართ:

- სტაფილოკოკური - ტიტრით არანაკლებ 10^5 მლ⁻¹;
- სტრეპტოკოკური - ტიტრით არანაკლებ 10^4 მლ⁻¹;
- პათოგენური ნაწლავის ჩხირის (სხვადასხვა სეროტიპის) - ტიტრით არანაკლებ 10^5 მლ⁻¹;
- ფსეუდომონას აერუგინოზას (ლურჯმწვანე ჩირქმზადი ჩხირის) - ტიტრით არანაკლებ 10^5 მლ⁻¹;
- პროტეუსის (*Proteus: mirabilis, vulgaris*) - ტიტრით არანაკლებ 10^5 მლ⁻¹;

არააქტიური ნივთიერებების სახით: ბაქტერიულ საკვებ ბულიონს, ფიზიოლოგიურ ხსნარს, ხოლო კონსერვანტად გამოყენებულია ქინაზოლი.

აღწერა:

მოყვითალო – ღია ყავისფერი სითხე.

ფარმაკოლოგიური თვისებები:

ფარმაკოთერაპიული ჯგუფი:

სპეციფიკური ანტიბაქტერიული საშუალება

ფარმაკოლოგიური მოქმედება:

იწვევს: *Staphylococcus aureus*; *Streptococcus* (სხვადასხვა სახეობის); *Escherichia coli* (სხვადასხვა სეროტიპის); *Pseudomonas aeruginosa*; *Proteus (vulgaris, mirabilis)* ბაქტერიების სპეციფიკურ ლიზისს.

დანიშნულება:

პიო ბაქტერიოფაგი გამოიყენება სამკურნალო-პროფილაქტიკური მიზნით ზემოთ აღნიშნული მიკროორგანიზმებით გამოწვეული ჩირქოვან-ანთებითი და ენტერალური ინფექციების დროს.

გამოყენების ჩვენება:

- ცხვირ-ხახის ინფექციური დაავადებები: შუა ყურის ანთება, ანგინა, ლარინგიტი, რინიტი, ტრაქეიტი, ბრონქიტი, პნეუმონია, პლევრიტი;
- კანისინფექციური დაავადებები: ფურუნკულოზი, კარბუნკულოზი, აბსცესები, გიდროადენიტები, ღრმა ინფილტრატული და აბსცესური სიკოზები, პიოდერმიტები;
- ქირურგიული ინფექციები: ჩირქოვანი ჭრილობები, მასტიტები, ოსტეომიელიტი, ფლეგმონი;
- პირის ღრუს ანთებითი პროცესები: სტომატიტი, გენგივიტი და სხვა.
- კონიუქტივიტი;
- დამწვრობის დროს განვითარებული მეორადი ინფექციები;
- ურო-გენიტალური და გინეკოლოგიურ ინფექციები: ურეტრიტი, ცისტიტი, პიელონეფრიტი, კოლპიტი, ენდომეტრიტი;



PYO
BACTERIOPHAGE

ANTIBACTERIAL SOLUTION FOR TOPICAL AND ORAL USE

10 ml x 5

Bacteriophages active against (titre per ml):
Staphylococcus (10⁵), *Streptococcus(10⁴)*,
Proteus(10⁵), *Escherichia coli(10⁵)*, *Pseudomonas(10⁵)*

Preparations developed by
GEORGE ELIAVA INSTITUTE
OF BACTERIOPHAGES, MICROBIOLOGY AND VIROLOGY



- ენტერალური ინფექციები: გასტროენტეროკოლიტი, ქოლერისტიტი, დისბაქტერიოზი;
- ბავშვთა (მათ შორის ახალშობილთა) სხვადასხვა ჩირქოვან ანთებითი ინფექციები;
- სტაფილოკოკის, სტრეპტოკოკის, პათოგენური ნაწლავის ჩხირის (სხვადასხვა სეროტიპის), ფსევდომონას აერუგინოზას (ლურჯმწვანე ჩირქმზადი ჩხირის) და პროტეუსის მიერ გამოწვეული დაავადებები;
- ოპერაციის შემდგომი გართულებებისა და საავადმყოფოსშიდა ინფექციების პროფილაქტიკის მიზნით;

გამოყენების წესი და დოზირება

პიო ბაქტერიოფაგი გამოიყენება როგორც ადგილობრივად დაზიანებული კერის დასამუშავებლად, საფენების სახით, ასევე ღრუში შესაყვანად (ღრუ ჭრილობები, მუცლის ღრუ, პლევრა, აბსცესის ღრუ, ცხვირის ღრუ, შარდის ბუშტი, საშვილოსნო, საშო). პრეპარატი შესაძლებელია გამოყენებული იქნას დასალევად, ასევე ზონდისა და ოყნის სახით.

- ფაგის ადგილობრივი გამოყენება ხდება 3-5 დღის განმავლობაში დღეში სამჯერ. ფაგის რაოდენობა განისაზღვრება დაზიანებული ადგილის ზომის მიხედვით. თუ ფაგის გამოყენებამდე ჭრილობა დამუშავებული იყო სხვადასხვა ქიმიური ანტისეპტიკებით, იგი უნდა გაიწმინდოს სტერილური ფიზიოლოგიური ხსნარით და დამუშავდეს 2-3% სოდიანი ხსნარით.
- აბსცესების, პლევრიტების და ართრიტების დროს ბაქტერიოფაგის შეყვანა ღრუში ხდება ჩირქის გამოდევნის შემდეგ 50-200 მლ რაოდენობით, დღეგამოშვებით.
- ცისტიტების, პიელიტების დროს ფაგის შეყვანა ხდება კათეტერით.
- ქოლერისტიტების დროს ზონდირებით 30 მლ ოდენობით, დღეგამოშვებით.
- კუჭ-ნაწლავის ოპერაციისა და პერიტონიტების დროს შეყავთ 100 მლ ოდენობით, ხოლო ღრუში დატოვებული ზონდით ფაგი ღრუში შეყავთ დღეში ერთხელ 30 მლ ოდენობით 3-4 დღის განმავლობაში.
- პიოდერმიტების ღრმა ფორმების მკურნალობისას ფაგს იყენებენ კანში ინექციის სახით 0,1-0,5 მლ რაოდენობით, სულ 10 ინექცია 24 საათში ერთხელ.
- კონიუქტივიტების დროს ბაქტერიოფაგს აწვეთებენ დღეში 4-6-ჯერ 2-2 წვეთის ოდენობით.
- ახალშობილთა ომფალიტებისა და პიოდერმიტების სამკურნალოდ პიო ბაქტერიოფაგი გამოიყენება საფენების სახით დღეში ორჯერ 5-7 დღის განმავლობაში.

Per os პიო ბაქტერიოფაგის გამოყენების წინ 3 წლის ზევით ასაკის ბავშვებში და მოზრდილებში რეკომენდირებულია 2-3% სასმელი სოდიანი ხსნარის მიღება.

განსაკუთრებული მითითებები:

გამოყენების წინ ფლაკონი უნდა შევანჯღრიოთ, სითხე უნდა იყოს გამჭვირვალე და ნალექის გარეშე. შეფუთვის დაზიანებისას ან ფლაკონში ფაგის შემღვრვის შემთხვევაში პრეპარატი არ გამოიყენოთ!!! არ შეიძლება პრეპარატის შენახვა ფლაკონის გახსნის შემდეგ!!!

ჭარბი დოზირება:

პიო ბაქტერიოფაგის გამოყენებისას ჭარბი დოზირების სიმპტომები არ გამოვლენილა.

უკუჩვენებები:

პიო ბაქტერიოფაგის გამოყენებას უკუჩვენებები არ გააჩნია.

გვერდითი მოვლენები:

პიო ბაქტერიოფაგის გამოყენებისას გვერდითი მოვლენები არ გამოვლენილა.

ურთიერთქმედება სხვა სამკურნალო საშუალებებთან:

პრეპარატის გამოყენება შესაძლებელია სხვა სამკურნალო საშუალებების პარალელურად. პიო ბაქტერიოფაგის გამოყენებისას ალკოჰოლის მიღება არ არის რეკომენდირებული.

მომხმარებელთა განსაკუთრებული კატეგორიები:

ორსულობა და ლაქტაცია:

პრეპარატის გამოყენება ორსულობისას და ლაქტაციის პერიოდში დასაშვებია.

ხანდაზმულები:

პრეპარატი ინიშნება ხანდაზმულ პაციენტებში.

გავლენა ავტომობილების მძღოლებზე და პოტენციურად საშიშ მანქანა-დანადგარებთან მომუშავე პერსონალზე:

პიო ბაქტერიოფაგის გამოყენება არ ახდენს გავლენას ავტომობილის ან სხვა მანქანა-დანადგარების მართვის უნარზე.

შეფუთვა:

პრეპარატი გამოდის 10 მლ-იან ფლაკონებში (ერთ ყუთში 5 ფლაკონი)

შენახვის პირობები და ვარგისობის ვადა:

პიო ბაქტერიოფაგი ინახება მზის სხივებისგან დაცულ, მშრალ ადგილას, +2°C - +8°C ტემპერატურაზე. შენახვის ვადაა 18 თვე.

გაცემის რეჟიმი:

ფარმაცევტული პროდუქტი ჯგუფი III, გაიცემა რეცეპტის გარეშე.

პრეპარატი შემუშავებულია გ. ელიავას სახელობის ბაქტერიოფაგის, მიკრობიოლოგიისა და ვირუსოლოგიის ინსტიტუტში.

მწარმოებელი:

შპს. "ბაქტერიოფაგის ბიოპრეპარატები"

საქართველო, თბილისი 0160, გოთუას 3; ტელეფონი: +995(32) 2370702; ელ-ფოსტა: info@phage.ge